ახალი ხარაგაული

№408 (16) 25 ნოემბერი, 2019 წ.

ხარაგაულში 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოეწყო

ხარაგაულის მთავარი საფინანსო დოკუმენტი 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი და ამასთანავე, 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი მზადაა.

მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ მერიის საფინანსო სამსახურის უფროს, ვლადიმერ გელაშვილთან და სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი საჯარო განხილვის ფორმატში ადგილობრივ მოსახლეობას გააცნო. შეხვედრას მერის მრჩეველთა საბჭოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები დაესწრნენ.

2020 წლის ბიუჯეტი 452 200 ლარით გაიზარდა და 8 178 000 ლარით განისაზღვრა (2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი 7 725 800 ლარს შეადგენდა).

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. საზოგადოებამ დაასახელა რამდენიმე

პრიორიტეტული საკითხი. იმსჯელეს დაბის იერსახის მოწესრიგებაზე, წყალანირების სისტემის მოწყობაზე, სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციაზე, მრავალბინიანი სახლების ფასადებისა და სადარბაზოების მოწესრიგებაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა ასახვაც ეტაპობრივად მოხდება ადგილობრივ ბიუჯეტში.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა დეტალურად ისაუბრა ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯვით ნაწილზე. ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ გასცა ინფორმაცია მერის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულ პროექტებზე, ასევე განმარტა, რომ დაბა ხარაგაულის კეთილმოწყობა დაიწყება მას შემდეგ, რაც შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის მშენებლობა დასრულდება.

საუბარი შეეხო დაბაში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც რიგი მიზეზების გამო შეჩერებულია. მერის ინფორმაციით, წელს 15 არაკეთილსინდისიერ მეწარმეს შეუწყდა ხელშეკრულება, რაც იმის გარანტიაა, რომ ეს კომპანიები ტენდერებზე ვეღარ შემოვლენ. როგორც ნიკოლოზ თოფურიძემ განმარტა, აღნიშნული პროექტები წლის ბოლომდე დასრულდება და შეფერხებისთვის მოსახლეობას ბოდიში მოუხადა.

ქონების მართვისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსმა, ჯაბა ბერაძემ, ქონების გადასახადიდან შემოსულ გაზრდილ შემოსავლებზე ისაუბრა.

2020 წლის ბიუჯეტის პროექტი და 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი საკრებულოს უკვე წარედგინა.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ შენიშვნების არსებობის შემთხვევაში პროექტი მერიაში 25 ნოემბრამდე უნდა დააბრუნოს. მერია ბიუჯეტის შესწორებულ ან იგივე ვარიანტს, საბოლოოდ, საკრებულოში 10 დეკემბრამდე აგზავნის.

2020 წლის ბიუჯეტი 20-28 დეკემბრამდე უნდა დამტკიცდეს.

ლაშეში დროებითი ხიდის მონტაჟი მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშეში, მდინარე ჩხერიმელაზე, დროებითი ხიდის მონტაჟი მიმდინარეობს. სამი სოფლის დამაკავშირებელი ხიდი მიმდინარე წლის ივნისში მოსული ძლიერი წვიმების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა.

ახალი ხიდის მშენებლობისთვის ხარაგაულის მერიამ თანხა საქართველოს მთავრობისგან მიიღო.

პროექტი გარდამავალია და ხიდის მშენებლობა ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დაჯდება.

მერია ხიდის მშენებლობისთვის ტენდერს უახლოეს დღეებში გამოაცხადებს.

დროებითი ხიდის მოწყობის სამუშაოებს ჩინური კომპანია ასრულებს, რომელიც ხარაგაულის ტერიტორიაზე რკინიგზის მოდერნიზაციის პროქტის ფარგლებში გვირაბების მშენებლობას ახორციელებს.

ხარაგაულში საზოგადოებრივი ცენტრი შენდება

დაბა ხარაგაულში, სპორტდარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, საზოგადოებრივი ცენტრი შენდება. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე. როგორც ხარაგაულის მერმა აღნიშნა, პროექტის მთავარი იდეა სახელმწიფო სერვისების მოქალაქეებამდე მიტანა და რაიონების გაძლიერებაა. „ახალი საზოგადოებრივი ცენტრი მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემს, საჭირო მომსახურებები, ადგილიდან გაუსვლელად, კომფორტულ პირობებში მიიღონ. მისასალმებელია, რომ ახალგაზრდებს ექნებათ საშუალება, ისარგებლონ თანამედროვე ბიბლიოთეკითა და უფასო ინტერნეტით,"-განაცხადა ნიკოლოზ თოფურიძემ.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ ცენტრში საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით სარ-

გებლობა იქნება შესაძლებელი. მოსახლეობას დაბადების მოწმობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება, ქონების რეგისტრაცია და საბანკო მომსახურებით სარგებლობა ადგილზე შეეძლება. ცენტრში იმუშავებს უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები და ვიდეოკონფერენციის აპარატურა.

საზოგადოებრივ ცენტრში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკაც განთავსდება, სადაც ელექტრონულ წიგნებთან ერთად ბეჭდური გამოცემებიც იქნება დაცული. მოეწყობა საკონფერენციო დარბაზი, სადაც მოსახლეობა შეხვედრების გამართვას შეძლებს. ასევე განთავსდება მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მისაღები ოთახიც.

პროექტის ღირებულება 682 100 ლარია. სამუშოებს სს სამშენებლო საწარმო გაერთიანება „იმერეთი" ასრულებს.

საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა ხარაგაულში 2020 წლის ივნისში დასრულდება.

აღნიშნული ცენტრი მუნიციპალიტეტში რიგით მეოთხეა.

ვერტყვიჭალასა და საღანძილეში ახალი საბავშვო ბაღები აშენდება

„ვერტყვიჭალასა და საღანძილეში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა იწყება. მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენელმა კახა ღლონტმა მშენებელი კომპანიის სს „იმერის" დირექტორთან და მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროს, ჯაბა ბერაძესთან, ერთად მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორია დაათვალიერა. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს პროექტი და აღნიშნეს, რომ სკოლამდელი დაწესებულების ახალი, თანამედროვე სტანდარტების, შენობის მშენებლობა ვერტყვიჭალაში ნოემბრის ბოლოს აქტიურ ფაზაში შევა.

ღლონის ადმინისტრაციულ ერთეულში უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა

ხარაგაულის რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის ინიციატივით, ღლონის ადმინისტრაციულ ერთეულში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა. აქციის ფარგლებში, პაციენტებს სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური ექიმები (კარდიოლოგი, თერაპევტი, ენდოკრინოლოგი, გინეკოლოგი, ექოსკოპისტი) მოემსახურნენ. საჭიროებისამებრ, მათ ასევე ჩაუტარდათ კარდიოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევები, რომელიც ღლონის ამბულატორიაში მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

აქციაზე იმყოფებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის ღონისძიებები მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ,,მოქალაქეებმა სამედიცინო კონსულტაცია წამყვან სპეციალისტებთან ადგილზე მიიღეს. თუკი მათ დამატებითი კვლევები დასჭირდებათ, შესაბამის დაწესებულებაში გადამისამართდებიან. მუნიციპალიტეტში ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა შესაძლებელია, რაიონში ფუნქციონირებს მაღალი სტანდარტების

შესაბამისი კლინიკა, "- აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

სამედიცინო შემოწმება ღეღვანში მცხოვრებ 80-მდე მოქალაქეს ჩაუტარდა.

აღსანიშნავია, რომ უფასო გამოკვლევები ეტაპობრივად მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გაიმართება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

კიდევ ერთი აღიარება და წარჩინება

-ნამდვილად არ გაიზომება იმ სიხარულისა და მასთან შერწყმული სიამაყის ძალა, როცა შენი ქვეყნიდან შორს იმყოფები უცხო საზოგადოებაში და საზეიმო კონცერტზე მოსწავლე იმ სამუსიკო სკოლისა, რომელსაც შენ ხელმძღვანელობ, ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით ღირსეულად წარმოაჩენს თავის სამკვიდროს, თავის სკოლასა და იმ პედაგოგთა ღვაწლს, რომლითაც ის მიზანმიმართულად ეუფლება ხელოვნების ამ დიდებული სფეროს საიდუმლოებებს, - გაბრწყინებული სახით მესაუბრება უმშვენიერესი ბალტიისპირეთიდან, ლიეტუვას ქვეყნიდან ვიზიტის შემდეგ, თავის მოსწავლესთან ერთად მშვიდობიანად და წარმატებულად დაბრუნებული ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორი ქალბატონი ლალი ალექსიძე.

-საოცარი გრძნობა დამეუფლა, - განაგრძობს რესპონდენტი - როცა ქალაქ ტაურაგეს მუსიკალურ ცენტრში ჩვენი სკოლის VI კლასის მოსწავლე მარიამ ხაჩიძემ (პედაგოგი დარეჯან გვაძაბია) ქალაქ შიაულაის კამერულ ორკესტრთან ერთად დაუკრა ზდენეკ ფიბიხის „პოემა“ და დასრულებისთანავე მოწონება - აღტაცების ნიშნად აპლოდისმენტების ზღვამ დაფარა კდემამოსილი თავმდაბლობით გამოხატული გოგონას სამადლობელი...

პირადად ჩემთვის იმ წუთებში მიღებული ემოციის სიტყვებით გამოხატვა შეუძლებელია.

კამერულ ორკესტრს ხელმძღვანელობდა ცნობილი ლიტველი მევიოლინე და დირიჟორი ვილჰელმ ჩეპკინსკი.

კონცერტის შემდეგ დირიჟორმა ჩეპკინსკიმ და დამსწრე ცნობილ მუსიკოსთა შეფასებამ ცხადყო, თუ როგორი შთამბეჭდავი და საყოველთაოდ იყო მოსწავლის მიერ შესრულებული აღნიშნული ნაწარმოები...

ასევე წარმატება ხვდა წილად ქალაქ ზესტაფონის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლე ანასტასია ჯაფარიძეს (პედაგოგი ნინო წერეთელი), რომელმაც შეასრულა ჰაიდნის კონცერტის პირველი ნაწილი.

ქალბატონი ლალი დიდი კმაყოფილებით საუბრობს მარიამ ხაჩიძის ყოფაქცევაზე, თავდაჭერილობაზე, უფროსებთან ურთიერთობის მაღალ კულტურაზე და აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი ოჯახიდან, აღზრდიდან მოდის,რაც ძალზე სასიხარულოა.

* * *

ყველაფერი განსაზღვრა ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალამ. 2015 წლის დეკემბერში ხარაგაულის სამუსიკო სკოლას ეწვივნენ კოლეგები ტაურაგეს სამუსიკო სკოლიდან და მათ შორის გაფორმდა მეგობრობისა და თანამშრომლობის მემორანდუმი. მსგავსი მემორანდუმი ადრე გაფორმებული ჰქონდათ ზესტაფონის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლასთან.

ქალბატონმა ლალიმ სიამოვნებით აღნიშნა, რომ ხარაგაულისა და ტაურაგეს სკოლების დამეგობრებაში დიდია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმჟამინდელი თავმჯდომარის, ქალბატონი ინგა მაღრაძის, ძალისხმევა. ამ ფაქტს განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მომხსენებელმა ტაურაგეში საზეიმო საღამოზე და დიდი მადლიერება გამოხატა ქალბატონი ინგას მიმართ.

სწორედ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, იქნა მიწვეული ხარაგაულის სამუსიკო სკოლა ტაურაგეს სკოლის სამოცდახუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით. მეორე კონცერტი სწორედ ამ სკოლაში გაიმართა და მარიამმა წარმატებით შეასრულა დავით ტურიაშვილის „ანდანტე - მაესტოზო“ და ალბენისის „პრელუდია.“

- „ამაღელვებელი იყო დაჯილდოების ცერემონიალი, რომელსაც უშუალოდ ესწრებოდა ქალაქ ტაურაგეს მერი და ადგილობრივი ხელისუფლების ცნობილი პირები.

გამორჩეული და განსაკუთრებული იყო მასპინძელთა დამოკიდებულება ჩვენ მიმართ. ცდილობდნენ თავი შინაურ ატმოსფეროში გვეგრძნო და თანაც გაგვეცნო ყველაფერი ის, რაც მათს წარსულს, აწმყოსა და მომავალს უკავშირდება. დაგვათვალიერებინეს ღირსშესანიშნავი ძეგლები, რამაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მუსიკა, ხელოვნება გვიადვილებს ურთიერთობებს, რადგან იგი საერთაშორისო ენაა. აქედან გამომდინარე, ენის ბარიერს სრულიადაც არ შეუშლია ხელი, რომ მასპინძლებს ჩვენთან ერთად ემღერათ რევაზ ლაღიძის „თბილისო“ და ჩართულიყვნენ ქართულ ცეკვებში.“-აღნიშნა ქალბატონმა ლალიმ.

რასაკვირველია, გამარჯვება და წარმატება იოლად არ მოდის. ხარაგაულის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი პროფესიონალიზმითა და მოწოდებით მუდამ მზადაა, რომ მშვენიერებისაკენ სწრაფვის სურვილი გაუძლიეროს აღსაზრდელებს. ამის დასტურია ის უამრავი ჯილდო - სიგელი, რაც მიღებული აქვთ მოსწავლეებს ქვეყნის შიგნით, თუ ქვეყნის საზღვრებს გარეთ კონკურსებსა და ფესტივალებში აქტიური ჩართულობით. სკოლის ყველა წარმატებაში დიდია კონსულტანტ თამაზ ვასაძის დამსახურება.

ლალი სვანიძე - ხაჩიძე (მარიამ ხაჩიძის მშობელი): - მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო სამუსიკო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, მათს ღირსეულ წინამძღოლს, ქალბატონ ლალი ალექსიძეს. როგორც მშობელმა, განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა დარეჯან გვაძაბიას. მისმა განუზომელმა სითბომ, პროფესიონალიზმმა და პედაგოგიურმა ტაქტმა განსაზღვრა ჩემი გოგონას წარმატება. სამომავლო დღეებს დავულოცავ ამაგდარ პედაგოგებს და ვუსურვებ, რომ არასდროს მოკლებოდეთ თავდადებული შრომის საზღაური - მოსწავლეთა წარმატებები.

სიამოვნებით ვუერთდები მშობლის შეფასებას და წარმატებულ სვლას ვუსურვებ მომავლის გზებზე ჩვენი მოსწავლე - ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის ამ თვალსაჩინო კერას!

მერი გიორგიძე

ლაშეში 100 მილიონი წლის წინანდელი მოლუსკები აღმოაჩინეს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშეში შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის მშენებლობის პროცესში, მსხვილმარცვლოვან გლაუკონიტიან ქვიშაქვებში ქვედა ცარცული პერიოდის (დაახლოებით 100-113 მილიონი წელი) ნამარხი თავფეხიანი მოლუსკები - ამონიტები (Ammonite) აღმოაჩინეს.

მშენებლები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ თოფურიძეს, დაუკავშირდნენ, რის შემდეგაც ისტორიული მუზეუმის მონვევით ლაშეში პალეოანთროპოლოგიისა და პალეობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი თენგიზ მეშველიანი, გეოლოგია-პალეონტოლოგიის ფონდის მთავარი კურატორი რუსუდან ჩაგელიშვილი და ფონდის მეცნიერ-თანამშრომელი, გეოლოგი და პალეონტოლოგი, ნიკა ვანიშვილი, ჩამოვიდნენ.

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ადგილზე დაათვალიერა აღმოჩენილი მოლუსკები, აიღეს ქანები და დაადგინეს, რომ ისინი ქვედა ცარცული პერიოდისაა.

ცარცული პერიოდი 135-137 მლნ. წლის წინათ დაიწყო და, დაახლოებით, 70 მლნ. წელი გრძელდებოდა.

აღმოჩენილი ამონიტები ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში განთავსდება.

ფონდმა ,,ტასომ“ ხარაგაულში რამდენიმე პროექტი დააფინანსა

პროექტის ფარგლებში „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური განვითარებისთვის“ ხარაგაულის მერ ნიკოლოზ თოფურიძესთან შეხვედრა გაიმართა.

პროექტს ფონდი ,,ტასო“ გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად ახორციელებს, რომლის ბენეფიციარია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრაწყაროს ქალთა თვითდახმარების ჯგუფი „იასამანი.“

გამართული შეხვედრის მიზანი თვითდახმარების ჯგუფისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა თანამშრომლობა გახლდათ.

ჯგუფის წევრებმა სათემო საჭიროებებსა და იმ გამოწვევებზე ისაუბრეს, რომლებიც, სოფლის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად, პრიორიტეტად გამოყვეს. მათი მიზანია, ყოველივე გათვალისწინებულ იქნეს მომავალი წლის ბიუჯეტში.

ძირითადად საუბარია, სასმელი წყლის, შიდა გზებისა და გარე განათების სისტემის მონესრიგებაზე ასევე გამოიკვეთა სანაგვე ურნების დამატების საჭიროება.

მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის წევრებმა უკვე მიიღეს მონაწილეობა ფონდი „ტასოს“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში და დაფინანსდა სამი პროექტი: სოკოს წარმოება სასათბურე პირობებში, საპნისა და თაფლის წარმოება.

პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური განვითარებისთვის“ მიზანია გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის ხელშეწყობა და მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტირების პროცესში.

ეკა შავიძე

სარაგაულელ წარჩინებულ მოსწავლეებს ლეპტოპები გადაეცათ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს პროგრამას ,,ჩემი პირველი კომპიუტერი,“ რომლის ფარგლებშიც ის მოსწავლეები, რომლებმაც საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები) მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით დაასრულეს, პორტაბელური კომპიუტერებით ჯილდოვდებიან. მიმდინარე წელს, ზემოხსენებული პროგრამის ფარგლებში, ხარაგაულიდან 31 მოსწავლე დაჯილდოვდა.

გთავაზობთ სიას იმ მოსწავლეებისას, რომლებმაც ლეპტოპები საჩუქრად მიიღეს:

დაბის N2 საჯარო სკოლა - საბა მესხი, ელენე ჭყოიძე, ქეთი დავაძე, გვანცა მაღლაფერიძე, ელენე ტალახაძე, გვანცა ყრუაშვილი;

დაბის N3 საჯარო სკოლა - ელენე ჩიჩილიძე, ლიზი კურტანიძე, ქეთევან ლაცაბიძე, გურამ ლურსმანაშვილი;

ბაზალეთის საჯარო სკოლა - კესო ჩხიკვაძე;

ბორითის საჯარო სკოლა - მარიამ რიკაძე;

ბორის საჯარო სკოლა - ნანუკა წიწილაშვილი, თამარ ჭანკოტაძე, თაკო სხილაძე;

ვარძიის საჯარო სკოლა - ნინო კოჩაძე;

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა - ნათია გოგოლაძე;

ზვარის საჯარო სკოლა - ცოტნე თიკანაშვილი, თემიკო მაღლაკელიძე;

კიცხის საჯარო სკოლა - ანა გოდიბაძე;

მარელისის საჯარო სკოლა - ნინო ყიფიანი, ლუკა ცისკაძე, მარი ქურდაძე;

მოლითის საჯარო სკოლა - მარიამ ყრუაშვილი;

საღანძილის საჯარო სკოლა - ნიკა კიკნაძე;

ხევის საჯარო სკოლა - დავით ტაბატაძე;

ხიდრის საჯარო სკოლა - გიორგი ლელაძე, ლუკა გაგოშიძე, ლევან კაციტაძე;

ხუნევის საჯარო სკოლა - ნინო ლომიძე, ეკა ლომიძე.

სოციალურად დაუცველ ოჯახებს საშეშე მერქანი გადაეცათ

ხარაგაულში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა ბაქარ ბარბაქაძემ საშეშე მერქანი გადასცა. სათბობი შეშის შეძენა შეჭირვებული ოჯახებისათვის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურმა სამსახურმა უზრუნველყო. ზამთრის მარაგი ამ ეტაპზე 24-მა ოჯახმა მიიღო. ხარაგაულის მერია, შემოსული განცხადებების საფუძველზე, კვლავ განაგრძობს მოსახლეობის საშეშე მერქნით უზრუნველყოფას. საშეშე მერქნის გადაცემა ეტაპობრივად მოხდება.

ლეღვნის ცენტრალური გზა ნოემბრის ბოლოს აღდგება

ივნისის სტიქიით დაზიანებული სოფელ ლეღვნის ცენტრალური გზის ერთი მონაკვეთი აღდგენილია. დასრულდა ნაპირსამაგრი გაბიონის მშენებლობა და გზის სავალ ნაწილზე მოეწყო ბეტონის საფარი. სამუშაოები 137 000 ლარით დაფინანსდა. ინტენსიურად მიმდინარეობს გზის მეორე მონაკვეთის აღდგენა. ამჟამად ეწყობა მდინარე ლეღვნულას სანაპიროზე საყრდენი კედელი, რომლის დასრულების შემდეგაც დაზიანებულ მონაკვეთზე დაიგება ბეტონის საფარი. სამუშაოები ნოემბრის ბოლოს დასრულდება და სოფელ ლეღვნის ცენტრალური გზა სრულად აღდგება. გზის მეორე მონაკვეთის მშენებლობა სტიქიის ფონდიდან 398 000 ლარით დაფინანსდა.

დაიწყო ასევე მდინარე ლეღვნულაზე ახალი ხიდის მშენებლობა, რომელიც სოფლის ცენტრს საჯარო სკოლასთან აკავშირებს.

პროექტი სტიქიის ფონდიდან 400 000 ლარით დაფინანსდა.

ლეღვანში 7 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად ადიდებულმა მდინარემ ორი ხიდი წაიღო.

ბურჯანაძეების უბანში დროებითი ხიდის კონსტრუქციაა მოწყობილი.

„გამას“ ველოდით და „გამამ“ გაგვასარა...

დიდი რუსთველის შეგონება „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“ ბევრჯერ გამომიყენებია საგაზეთო წერილსა თუ საზოგადოებასთან შეხვედრისას. ეს ღვთიური ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ ვიწამეთ 26 – 27 ოქტომბერს სოფელ ღორეშაში ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის (ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძე) მიერ ორგანიზებულ მხატვართა პლენერზე, როცა უფლის მადლით ზეიმობდა ბუნებაც, ადამიანის ნიჭიერებაც, ქართული (ამჯერად იმერული!) სტუმარმასპინძლობაც და ყოველივე ის, რაც სიცოცხლის დაუსრულებლობაზე ნატვრას აღგიძრავს, მშვენიერ წუთებთან კვლავ შეხვედრის სურვილს გაგიძლიერებს...

„კოკროჭინა იმერეთი მართლაც ერთადერთია“ - კალამზე შემომიფრინდა ან განსვენებული ცნობილი ექიმისა და პოეტის თამაზ სანებლიძის იმერეთის სიყვარულით გაჯერებული ლექსის სტრიქონი. იმ დღეებში კი იმერეთის ულამაზეს სოფელ ღორეშაში „სიოც არ ქროდა უსიყვარულოდ“ და იქ რომ ყოფილიყო პოეტთა მეფე გალაკტიონი, ღორეშის ცისა და მზის შემხედვარე, უეჭველად გაიმეორებდა „მთაწმინდის მთვარის“ სტრიქონს: „ასე ჩუმი, ასე ნაზი, ჯერ ცა მე არ მახსოვს...“

* * *

შემოდგომის მზის ოქროსფერი სხივებით იყო გაბრწყინებული კვადოურას ულამაზესი ხეობა. ჯადოსნური ფერები ფარჩაატლასით მოსავდა ყოველ ფოთოლს, ხეს, ბუჩქს, ყვავილს, კორდსა და მდელოს...

ცენტრალური გზიდან უბისასთან, ღორეშის გადასახვევთან, ბანერი „გამა - 2019“ მიმართულებას უჩვენებდა პლენერის მონაწილეებსა და იმ დღეებში სოფლის ყველა სასურველ სტუმარს.

ღორეშის მემორიალური მუზეუმისა და მისი დირექტორის, პავლე ჯიბუტის, ეზოებში საგანგებო ფუსფუსი იყო... იგრძნობოდა, რომ ყველა დიდ სიამოვნებასა და სიხარულთან შესახვედრად ემზადებოდა.

სტუმრების მოლოდინში
(ანუ უნებლიეთ ყურმოკრული დიალოგ - მონოლოგი მემორიალური მუზეუმის ჭიშკართან)

ღორეშის საჯარო სკოლის უმშვენიერესი შენობისა და მემორიალური მუზეუმის მიმდებარე პატარა მოედანზე სტუმრების მოლოდინში შეკრებილან: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, მოსწავლეები, სტუდენტები, ადგილობრივი მცხოვრებლები, სოფლის ინტელიგენცია.

ჩემი მზერა მისწვდა ხელჯოხზე დაბჯენილ თმანავერულვაშგათეთრებულ ბერიკაცს, რომელიც აქეთ-იქით იყურება, ყველას ათვალიერებს, შემდეგ ახალგაზრდების ჯგუფთან მიდის და ეკითხება:

-მითხრეს, მუზეუმში პლენუმიაო და, თუ იცით, რისი პლენუმია დღეს აქა?

-არა, ბაბუ, პლენუმი კი არა - პლენერია, მხატვართა პლენერი, - პასუხობს თმაქოჩორა, თვალებხატული ყმაწვილი (ჩანს, ღორეშის საჯარო სკოლის მოსწავლეა).

-მერედა რა არი ე პლენერი? - ჩაძიებას განაგრძობს მოხუცი.

-რა არის და - სუფთა ჰაერზე ხატვა!

-ვინ გითხრა შენ ეგე?

-ვინ და - ჩვენმა მასწავლებელმა აგვიხსნა, რომ პლენერი ფრანგული სიტყვაა და ქართულად სუფთა ჰაერს ნიშნავს. ჰოდა, ბაბუ, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ეწვევიან დღეს მხატვრები ღორეშას და სუფთა ჰაერზე, ბუნებაში, დაგვიხატავენ ჩვენი სოფლის ულამაზეს სურათებს - აბაა! ის კი არა, თურმე ადამიანებსაც კი დახატავენ, ვინც განსაკუთრებით მოეწონებათ. ახლა კი აქეთ მოიწით, ბაბუ, ჭიშკართან, მალე მობრძანდებიან ისინი და საკუთარი თვალით დაინახავ, - ბოლომდე იზრუნა ჭაბუკმა მოხუცზე.

-უყურეფ შენე, რავა ყოველიფერი იციან ამ ბოვშებმა!- კმაყოფილი მიუბრუნდა მოხუცი გვერდით მდგომ შუახნის მამაკაცს.

* * *

-ეჰ, შენი მამგონი მეისპო, ოხერო სიკვტილო, რა დროს აღარ მყამს ჩემი კაცი ცოცხალი! მე შენ გეტყვი, სიმაღლე, მხარ-ბეჭი, წვერ-ულაში და სიტყვა-პასუხი არ -მეეწონებოდათ მისი. დახატავდენ, ნამდვილად დახატავდენ ჩემ კაცს! - სინანულით თავისთვის ჩაილაპარაკა ხანდაზმულმა ქალბატონმა და ისიც ჭიშკრისკენ გადაადგილდა...

* * *

ცოტა ხანიც და კომფორტული ავტობუსებისა და მსუბუქი მანქანების ნაკადმა დაფარა პატარა მოედანი, ხოლო დამხვედრი მასპინძლები სიყვარულითა და იმერული გამორჩეული პენით მიეგებნენ სასურველ სტუმრებს. აი ისინიც-მხატვრები: ილო პატაშური, შალვა გერაძე, ალექსანდრე ხუბუა, ვალერი ჯობავა, ვალერი ჩარგაზია, ალექსანდრე თოდუა, ნუგზარ ლაცაბიძე, თემურ თადუმაძე, დავით ფიცხელაური, ლევან გოგიტიძე, გიორგი ყვავაძე, რომეო ლეკვეიშვილი, მალხაზ ცისკაძე, დავით სულაქველიძე, დავით ტაბატაძე, ანზორ თოდრია, ზურაბ გაბუნია; კომპოზიტორი მაყვალა ხორბალაძე, საოპერო მომღერალი ბაია გრიგოლია, „მთავარი რადიოს“ ჟურნალისტი ელენე ტუშური.

* * *

შეხვედრის შემდეგ საზოგადოებამ მემორიალური მუზეუმის წინ გადაინაცვლა. ეზოს ეფინება პლენერისათვის სპეციალურად შექმნილი ჰიმნის სასიამოვნო ჰანგები (ტექსტის ავტორი იზა ვეფხვაძე, მუსიკა მაიკო მაჩაბლისა, ასრულებს „ივერიის“ სოლისტი ციური მჭედლიძე).

„გამას“ დროშას აღმართავს უხუცესი მხატვარი ილო პატაშური. ამ შთამბეჭდავ ფონზე „გამა-2019-ს“ გახსნილად აცხადებს პროექტის ავტორი, ლიტერატურული თეატრის მესაჭე იზა ვეფხვაძე და საზოგადოებას ცალ-ცალკე წარუდგენს თითოეულ სტუმარს მათი დამსახურებისა და სტატუსის შესაბამისად. შემდეგ აცხადებს იმ ოჯახებს, რომლებიც უშუალოდ უმასპინძლებენ შემოქმედ ადამიანებს.

მხატვრები დალოცა მამა პეტრემ (კურტანიძე), რომლის წვლილიც მუზეუმის დირექტორ პავლე ჯიბუტის ოჯახთან ერთად გამორჩეულია ამ უმშვენიერესი ღონისძიების სრულყოფაში.

სტუმრებს წარმატებები უსურვეს ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძემ.

* * *

ამაღელვებელი და კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო „გამა-2019-ის“ მეორე დღე, როცა მასპინძელი ოჯახებიდან საუკეთესო ნამუშევრებით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ ჩვენი სტუმრები. კვლავ საზეიმო ვითარებაში მოხდა მათ მიერ შექმნილი სურათების წარმოდგენა და შემდეგ დაჯილდოება. სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით აჯილდოებენ სტუმრებს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, მაჟორიტარი დეპუტატი, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, ზრდასრულთა განათლების ცენტრი, დეპუტატები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ლენა აბაშიძე, აკაკი ლურსმანაშვილი. დაბის მესამე საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე ამანდა ავალიშვილი.

სტუმრებმა სამადლობელი სიტყვები არ დაიშურეს მასპინძელთა და ღონისძიების ორგანიზატორთა მიმართ.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩვენი მშობლიური კუთხის ძირძველი ადათ-წესების დაცვისა და მართლაც სანაქებო მასპინძლობისათვის მადლობას ვუხდით: სასულიერო ცხოვრების „კეთილ მწყემსს“ მამა პეტრეს (კურტანიძე), პავლე ჯიბუტსა და მის ოჯახს, კახა გაბუნიას, ჯემალ გაბუნიას, შალვა კურტანიძეს, ნანა მჭედლიძეს, ბახვა სამხარაძეს, დავით ბუხნიკაშვილს, ლეილა სამხარაძეს, რომელთა ოჯახებმაც საუკეთესო პირობები შეუქმნეს ხელოვან ადამიანებს შემოქმედებითი პროცესისათვის.

გაცნობებთ, რომ ტრადიციულად ნამუშევრები გადაეცემა ლიტერატურულ თეატრს და გამოიფინება მის დარბაზში.

აღნიშნულ სასიამოვნო წუთებს აკომპანირებას უწევდა ცნობილი კომპოზიტორი მაყვალა ხორბალაძე, მოწვეული საზოგადოება მოიხიბლა საოპერო მომღერალ ბაია გრიგოლიას მიერ შესრულებული მუსიკალური ნომრებით.

...ნელ-ნელა დაბლა ეშვება „გამას“ დროშა, ჟღერს ჰიმნი და ქალბატონი იზა დახურულად აცხადებს „გამა-2019-ს.“

* * *

ანონსის სახით:

მომავალი წელი განსაკუთრებულია ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრისათვის, მას „დავაჟკაცების“ თარიღი - 25 წელი უსრულდება, შედარებით „ნორჩია“ მხატვართა პლენერი „გამა,“ ის ხუთწლიან იუბილეს იდღესასწაულებს...

თეატრის დიდმა მეგობარმა, ნამდვილად ღირსეულმა ქართველმა, ბახვა სამხარაძემ, შესთავაზა „გამას“ პროექტის ავტორს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, „გამა-5-ს“ მომავალი წლის ზაფხულში უმასპინძლოს საკუთარ ეზო-კარში, მართლაც ამქვეყნიურ სამოთხეში, სოფელ დიდ განთიადში (ამჟამად სოფელი სამება).

მომავალ საიუბილეო შეხვედრამდე, ძვირფასო სტუმარ-მასპინძლებო!

მერი გიორგიძე

დეპუტატებმა ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

18 ნოემბერს გამართულ ბიუროს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა 2019 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ დეპუტატებს ინფორმაცია წარუდგინა. მომხსენებლის განმარტებით, საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 13 922.3 ათასი ლარით, ხოლო ფაქტობრივად მიღებულია 10 505.2 ათასი ლარი. რაც შეეხება გადასახადებს, ის 10 056.8 ათას ლარს შეადგენს, გადასახდელები დაფინანსებულია მხოლოდ 58,0 %-ით.

ვლადიმერ გელაშვილის თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერებიდან ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 6 995,6 ათასი ლარი. მიღებულმა კი შეადგინა 3 869.9 ათასი ლარი, რაც 55,3 %-ია.

მან ასევე ისაუბრა მიზნობრივ ტრანსფერზე და აღნიშნა, რომ დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად მიღებულია 103,5 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები ცხრა თვეში დაგეგმილი 6892,1 ათასი ლარიდან მიღებულია 3766,4 ათასი ლარი.

როგორც მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სხვა შემოსავლების ნაწილში განისაზღვრა 2 406,4 ათასი ლარით, ფაქტობრივად კი მიღებულია 2 596,4 ათასი ლარი, რამაც გეგმის 107,9 %-ით შესრულება განაპირობა.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი განმარტავს, რომ არაფინანსური აქტივების კლებიდან ცხრა თვეში დაგეგმილი 30,5 ათასი ლარიდან შემოსულია 22,3 ათასი ლარი. აქედან 17,3 ათასი ლარი ძირითადი ქონების გაყიდვიდან და 5,0 ათასი ლარი მიწების გაყიდვიდან. რაც შეეხება სარეზერვო ფონდს, განისაზღვრებოდა 50,0 ათასი ლარით. მიმდინარე წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, მერის ბრძანებით, განაწილებულია 28.5 ათასი ლარი.

წარმოდგენილ მოხსენებით ბარათში ასევე ვკითხულობთ, რომ თავდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად დაგეგმილი 67.3 ათასი ლარიდან დახარჯულია 56,7 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაგეგმილი 11 466.3 ათასი ლარიდან დახარჯულია 5 114,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 837,2 ათასი ლარიდან გაწეულია 654,2 ათასი ლარის ხარჯი.

უფრო ვრცლად დეპუტატები 2019 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ 2 დეკემბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე იმსჯელებენ.

თამარ მაღრაძე

წაღვერის საჯარო სკოლაში სპექტაკლი ,,ჩვენი ოტია“ გაიმართა

წაღვერის საჯარო სკოლა გულიანად ემზადებოდა საპატიო სტუმრის დასახვედრად. დიდი მამულიშვილის, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის, სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის მასპინძლები გავხდით. სცენარისტმა და რეჟისორმა, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, სპექტაკლი ,,ჩვენი ოტია“ ჩამოგვიტანა, საკუთრივ ახალგაზრდებისთვის გათვლილი. ოტია იოსელიანი, ეს ყველასთვის კოლორიტული, დასამახსოვრებელი ადამიანი, თავისი ჩიბუხით იდგა (ნახატი) წაღვერის სკოლის საკლასო ოთახში და გასაოცარი რუდუნებით ,,ჰყვებოდა“ ,,მდუღარეგადასხმულ,“ მწარე ბავშვობას...

ქალბატონმა იზამ, ნიჭიერებითა და ამავდროულად მოკრძალებით, ყოველი სიტყვა სიყვარულით მიიტანა მოსწავლეების გულებამდე. აუდიტორია ყურადღებით უსმენდა ოტიას ცხოვრების პასაჟებს და, ალბათ, ცრემლიც მაგიტომ ჰქონდა გულწრფელად აჩქარებულ გულისცემასთან შეთანხმებით.

ნინო ჩუბინიძე, მოსწავლე: „არასდროს დამავიწყდება ამ ქალბატონის მეტყველება, ხმა და ის უამრავი ინფორმაცია, რაც ბატონ ოტიაზე აქამდე არ ვიცოდი. იმდენად ემოციური იყო ზოგი ეპიზოდი, რომ ცრემლისაგან თავი ვერ შევიკავეთ ბავშვებმა. თან გაოცებულები ვუსმენდით, არაფერს კითხულობდა და ამდენს ასე შეუცდომლად საუბრობდა“.

ქალბატონ იზას ახლდა ხარაგაულელთა, ვიტყოდი, სიამყე, გულიანი წერილების ავტორი, ღვაწლმოსილი პედაგოგი -მერი გიორგიძე, რომლის ერთი სიტყვითაც კარგად გაიგებდით მის დამოკიდებულებას, სიყვარულს, მზრუნველობას თავისივე მოსწავლისადმი.

ჩვენთან ბორჯომში ქალბატონი იზა რამდენჯერმე გახლდათ ჩამოსული სპექტაკლებით გოდერძი ჩოხელსა და მერაბ კოსტავაზე. ამჯერად კი, ამ დღის მიზანი დიდი ქართველის წარმოჩინება იყო. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ დიდი მამულიშვილების სახელები, მათი შემოქმედება, მათი ცხოვრების კრედო და ესოდენ სიყვარული ქვეყნისა. ოტიას მოსწრებული სიტყვა, ენაკვიმატი გვირისტით შეკრული ქართული სული, თუ სამართლიანი საყვედური, დღეს ისე გვჭირდება ქართველებს, როგორც არასდროს!

შეხვედრის დასასრულს, სამახსოვრო ფოტოებითა და ჩვენი სკოლისადმი დიდი სიმპათიებით გამსჭვალული სტუმრები გავაცილეთ. ნამდვილად, ქალბატონი იზა ვეფხვაძე არის მშვენება ეროვნულ სამოსელში, მისი ფიქრი და საქმე მხოლოდ სამშობლოს ერთგულებითაა შთაგონებული. მადლობა მას, რომ ასე უანგაროდ მიიღო ჩვენი მოწვევა და მომავალი თანამშრომლობისთვისაც დავსახეთ გზები.

მონიკა ჭანტურია
წაღვერის საჯარო სკოლის პედაგოგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი გაიზარდა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2019 წლის 15 ივლისს N 04-03/76691 და 4 ოქტომბრის N 04-03/107272 წერილებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს აცნობა 2020-2023 წწ. ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები, კერძოდ: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2020 წლისათვის მოსალოდნელია 5%-ით, ხოლო მომდევნო 2021-2023 წლებში 5,5 %-ის ფარგლებში. 2020 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19% შეადგენს 1 016 500,0 ათას ლარს. ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის განისაზღვრა ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი 1100,0 ათასი ლარი და მიზნობრივი ტრანსფერი 140,0 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს მიერ წინა 2019 წელს გამოყოფილ პარამეტრებთან შედარებით დღგ-ს გეგმა გაზრდილია 568,6 ათასი ლარით, ქონების გადასახადის გეგმა 50,0 ათასი ლარით და მიზნობრივი ტრანსფერი 2,0 ათასი ლარით.

2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 8 178.0 ათასი ლარით. აქედან გადასახადები განისაზღვრა - 6 616.4 ათასი ლარით, მათ შორის:

-საწარმოთა ქონების გადასახადი - 200,0 ათასი ლარი;

-ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 900.0 ათასი ლარი;

- დამატებითი ღირებულების გადასახადი - 5 516.4 ათასი ლარი;

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 140.0 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლები - 1396.6 ათასი ლარი, მათ შორის:

- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის - 50,0 ათასი ლარი;

- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან -55.0 ათასი ლარი;

- სანებართვო მოსაკრებელი - 1.6 ათასი ლარი;

- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 40.0 ათასი ლარი;

- ჯარიმები, სანქციები და საურავები - 1250,0 ათასი ლარი;

2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 8 178.0 ათასი ლარით. აქედან:

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 2,484.0 ათასი ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო- 627.0 ათასი ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია- 1,757.5 ათასი ლარი;

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - 81.5ათასი ლარი;

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი -18.0 ათასი ლარი;

საერთო დანიშნულების ხარჯები-119.0 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი- 50.0 ათასი ლარი;

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 587.3 ათასი ლარი;

გზების კაპიტალური შეკეთება-507.3 ათასი ლარი;

ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია - 50.0 ათასი ლარი;

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა- 30.0 ათასი ლარი;

წყლის სისტემის მოწესრიგება- 50.0 ათასი ლარი;

სასმელი წყლით უზრუნველყოფა - 50.0 ათასი ლარი;

გარე განათება - 135.5 ათასი ლარი;

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია - 135.5 ათასი ლარი;

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 80.0 ათასი ლარი;

სოფლის მხარდამჭერი პროგრამა - 5.0 ათასი ლარი;

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა - 20.0 ათასი ლარი;

დასუფთავება და ნარჩენების გატანა- 800.8 ათასი ლარი;

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა - 135.2 ათასი ლარი;

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები- 8.5 ათასი ლარი;

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება - 1,299.0 ათასი ლარი; ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი) - 67.0 ათასი ლარი;

არაფორმალური განათლების პროგრამა (მოსწავლეთა სახლი) - 110.0 ათასი ლარი;

სპორტის სფეროს განვითარება -385.0 ათასი ლარი;

სპორტული ღონისძიებები - 10.0 ათასი ლარი;

სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა -375.0 ათასი ლარი;

კულტურის სფეროს განვითარება - 817.7 ათასი ლარი;

კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა - 810.7 ათასი ლარი;

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - 125.0 ათასი ლარი;

კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა - 665.0 ათასი ლარი;

ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა - 20.7ათასი ლარი;

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება -7.0 ათასი ლარი;

მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა - 50.0 ათასი ლარი;

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 50.0 ათასი ლარი;

ახალგაზრდობის მხარდაჭერა- 10.0 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა -125.0 ათასი ლარი;

სოციალური დაცვა - 839.0 ათასი ლარი;

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა -307.0 ათასი ლარი;

კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება- 4.0 ათასი ლარი;

შშმ პირთა დახმარების პროგრამა -35.0 ათასი ლარი;

ერთჯერადი ფინანსური დახმარება-60.0 ათასი ლარი;

ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება-23.0 ათასი ლარი;

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა- 10.0 ათასი ლარი;

მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა - 3.0 ათასი ლარი;

მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა- 6.0 ათასი ლარი;

ყოველთვიური დახმარების პროგრამა- 50.0 ათასი ლარი;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა დახმარების პროგრამა-8.0 ათასი ლარი;

ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა- 2.0 ათასი ლარი;

სადღესასწაულო დღეებში დახმარება - 34.0 ათასი ლარი;

სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა -10.0 ათასი ლარი;

უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა- 6.0 ათასი ლარი;

ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა- 30.0 ათასი ლარი;

გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა- 1.0 ათასი ლარი;

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება - 143.0 ათასი ლარი;

უფასო სასადილო- 97.0 ათასი ლარი;

სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა - 10.0 ათასი ლარი;

მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. სამუშაოები ამ ეტაპზეც აქტიურ ფაზაშია. როგორც მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურში გვეუბნებიან, მიმდინარე წელს სტიქიის პრევენციული ღონისძიებებისათვის 248 897 ლარი გამოიყო. ამ თანხით მოხდა ხუთი პროექტის განხორციელება. ამ ეტაპზე კი მიმდინარეობს დაბაში, ფარცხნალსა და სარგვეშში ხიდებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა.

რაც შეეხება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში 890 000 ლარი დაიხარჯება. ზემოხსენებული თანხით დაგეგმილი იყო 147 პროექტის განხორციელება. მათგან 120 პროექტი დასრულებულია, 20 -ზე სამუშაოები აქტიურ ფაზაშია, ხოლო შვიდზე ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციით, სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

4 002 070 ლარი გამოეყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, რეგიონული განვითარების ფონდიდან ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იყო 21 პროექტის განხორციელება. ამჟამად რვა დასრულდა, ასევე დასრულების ეტაპზეა რვა პროექტი. ხუთზე კი შერჩევა - შეფასების ეტაპი მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ წელს დაიწყო დაბის ჩიხების რეაბილიტაცია, რომელზეც რეგიონული განვითარების ფონდიდან 287 161 ლარი გამოიყო. ამ თანხით კი შპს „ზუბამ“ და შპს „საპოვნელა პლუსმა“ 21 ჩიხი უნდა აღადგინოს.

მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის რეაბილიტაცია დაიწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის 25 -კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

აღნიშნული მონაკვეთი ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის 50 -კილომეტრიანი გზის მეორე ლოტია.

მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩუმათელეთის მხრიდან დაიწყო. ამ ეტაპზე საყრდენი კედლების, გაბიონებისა და მილხიდების მოწყობა ერთდროულად რამდენიმე ლოკაციაზე მიმდინარეობს.

სამუშაოებს აზერბაიჯანული კომპანია „აკორდი“ ასრულებს.

სახელშეკრულებო პირობებით, 25 -კილომეტრიანი გზის სრული რეაბილიტაცია 2020 წელს უნდა დასრულდეს.

ახალგაზრდა მოყვარული მხატვრები დაჯილდოვდნენ

ხარაგაულის კინოთეატრში ახალგაზრდა მოყვარულ მხატვართა კონკურსში „შემოდგომის პალიტრა“ გამარჯვებულების დაჯილდოება მოეწყო. კონკურსში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს. გამარჯვებულები კომპეტენტურმა ჟიურმა გამოავლინა. ღონისძიება მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით ჩატარდა. ახალგაზრდა მხატვრებს სამადლობელი სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

კონკურსში გამარჯვებულები საფეხურების მიხედვით გამოვლინდნენ.

I საფეხური:

პირველი ადგილი - რუსუდან ფანჩვიძე - (კიცხის საჯარო სკოლა, მე-5 კლასი);

მეორე ადგილი - მარიამ ნიქაბაძე - (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია, მე-5 კლასი);

მესამე ადგილი - ლიზი კვინიკაძე - (მოლითის საჯარო სკოლა, მე-6 კლასი).

II საფეხური:

პირველი ადგილი - ნანა მდინარაძე - (კიცხის საჯარო სკოლა, მე-7კლასი);

მეორე ადგილი - ლუკა ყრუაშვილი - (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია, მე-11 კლასი);

მესამე ადგილი - თამარ შათირიშვილი - (ლეღვნის საჯარო სკოლა, მე-11 კლასი).

III საფეხური:

პირველი ადგილი - თეონა ჭიპაშვილი - (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია, მე-8 კლასი);

მეორე ადგილი - მარიამ მდივნიშვილი - (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია, მე-8 კლასი);

მესამე ადგილი - ნინო არევაძე - (მარელისის საჯარო სკოლა, მე-9 კლასი).

ნომინაციაში ,,ჟიურის სიმპათია“ დასახელდნენ: მარიამ ტაბატაძე და ეკატერინე ბუაჩიძე.

ეკა შავიძე

რიკოთის საუღელტეხილო გზაზე ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა აქტიურ ფაზაშია

რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობა, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტი, საინჟინრო თვალსაზრისით, ევროპაში ერთ - ერთი ურთულესია, ამიერკავკასიაში კი მსგავსი მასშტაბის პროექტი ჯერ არ განხორციელებულა.

ამ დროისთვის აქტიური სამშენებლო სამუშაოები რიკოთის საუღელტეხილო გზის ხევი-უბისის 12.2 კმ-იან და უბისა-შორაპნის 13 კმ-იან მონაკვეთებზე მიმდინარეობს. ხევი-უბისის მონაკვეთზე სამობილიზაციო სამუშაოების 75%-ზე მეტი დასრულებულია და დარჩენილი რესურსების მობილიზება ხდება. აღნიშნულ მონაკვეთზე 20 გვირაბიდან სამუშაოები მიმდინარეობს 7 გვირაბზე და 35 ხიდიდან- 11 ხიდზე. ხოლო უბისა-შორაპნის მონაკვეთზე სამუშაოები 6 გვირაბსა და 5 ხიდზე ხორციელდება, ამასთანავე გრძელდება სხვა ტიპის სამუშაოები.

რაც შეეხება დანარჩენ მონაკვეთებს, ხელშეკრულება უკვე გაფორმდა ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე, სადაც სამობილიზაციო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. ხოლო შორაპანი-არგვეთას მონაკვეთზე სატენდერო წინადადებების შერჩევა-შეფასება ხდება.

რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის ფარგლებში, საერთო ჯამში, დაგეგმილია 51.6 კმ-მდე სიგრძის გზის მშენებლობა, რომელიც 96 ხიდსა და 53 გვირაბს მოიცავს. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება 2022 წლისთვის იგეგმება.

ახალი გზა ითვალისწინებს საგზაო უსაფრთხოების ყველა თანამედროვე სტანდარტს, ხოლო მისი პარამეტრები უზრუნველყოფს სიჩქარის გაორმაგებას უსაფრთხოების სრული დაცვით, რაც საბოლოო ჯამში აღმოსავლეთ-დასავლეთის მგზავრობის დროს გაანახევრებს. პროექტი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარებისათვის.

ეკა შავიძე

განცხადება

გაზეთის წინა, 30 ოქტომბრის, ნომერში წერილში „ვაზის სამომავლო სიცოცხლეს, მის აღორძინებას მიეძღვნა“ დეგუსტაციის ჩამონათვალში გამორჩენილია გივი ფურცელაძე, რომლის მიერ წარმოდგენილმა ციცქის ღვინომ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12